სამშობლო

პარასკევი

19 თებერვალი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. [illegible] ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. [illegible] მომწერის ერთს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების ფა- ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 8 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 290 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 290

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მი-ჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

შაბათს, 19 თებერვალს, დილის 9 საათზე, ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის კოლეჟსკი სოვეტნიკის აზნაურის

ივანე სიმონის ძის ბაინდურაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდაჩაგრულნი და დაწუხრებულნი პირისუფალნი მისი. 1—1
50

კოტე ბერიკაშვილი თავის დებითა და ძმებით და ძმისწულებით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 20 თებერვალს, სოფ. კურსებში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი თავის დაუვიწყარი დედის

კესარიას

სულის მოსახსენებლათ. 1—1
52

ახლად გადაცვლილებულის

იაკობ გიორგის ძის ჩიმაკაძის

ოჯახობა უგულითადეს მადლობას უძღვნის ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას, სახაზინო პალატის მოსამსახურეებს, რეალურ სასწავლებელს, მომღერალ ჯგუფს, ღარიბ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას და ყველა იმ პირს, ვინც პირადი დასწრებით თუ დეპეშებითა და წერილებით პატივისცეს განსვენებულის ხსოვნას. 1—1
53

გამოვიდა და იყიდება ლიტერატურულ-მხატვრული კრებული

„ს ხ ი ვ ი“ გაზ. „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა.

შინაარსი: I **მიხა ხოჭოლოშვილი**: კოლხეთის ცის ქვიშ; 2. მეუხრიშვილის დღიურიდან. II **გ. მუმულ ძე**: შვება-ლხენის წყვილი (თანამედროვე ომის სურათები). III **ნ. მ. წიშვილი**: პატარა ნოველები: 1. საიდუმლოება ცხოვრებისა, 2. შური, 3. მიჯავ მშობელო, 4. რა სურდა მას. IV **ია ეკალაძე**: თვალები, მხოლოდ თვალები! V **ჩახრუხაძე**: ეი, მიხედეთ! (ლექსი). VI **გ. ტაბიძე**: მთვარის ლანდები (ლექსები). V **ლ. ა. შენგელაია**: ლიტერატურული შენიშვნები: 1. ლიტერატურული კრიტიკა და მისი მნიშვნელობა, 2. „სინათლე“, როგორც ფსიხოლოგიური ნაწარმოები; 3. ქალი გრძნეული, 4. მგოსანი და მოქალაქე თანამედროვე ჩვენს პოეზიაში. VIII **გიგო**: სიმბოლიზმი. IX **გიგო ჯუღელი**: 1. ორიოდე სიტყვა თან. ქარ. მწერლობაზე; 2. ფოტოგრაფი, 3. მოგონებანი. კრებული 176 გვ. და ღირს ერთი მანეთი.

კრებული იყიდება: ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, ზესტაფონში—ნიკ. ბერიძესთან, სამტრედიაში—ილია თებაძესთან, დიდ-ჯიხაიშში—ექ. თ. მესხსთან, სენაკში—ვლ. კვანტალიანთან ვანში—გ. მეფარიშვილთან, ტობანიერში—ნიკ. სირბილაძესთან, ბათუმში—წიგნ. მაღ. „განთიადში“, ოზურგეთში—გ. მუმლაძესთან, ხონში—ა. კაკაბაძესთან, სოხუმში—რაჟ. შენგელაიასთან, თბილისში—„განათლებაში“, პეტროგრადში—პრ. გუჯაბიძესთან, მოსკოვში—სტ. აპ. კაკაბაძესთან, ხარკოვში—კურს. ნინა პუმპურიძესთან, სარატოვში—სტ. ი. ნუცუბიძესთან. 3—1

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ორშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

საუცხოვო კუთხეები ალჟირისა.

ქორწინება მდგომარეობის მიხედვით.

მხიარული კომედია ორ ნაწ. პაერპოლმისა და იოაკ. ნიენისა.

ხაშხაშით მთვრალი.

ძლიერი დრამა 7 ნაწილად.

ანონსი: 19 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება **ფრანგთა არტილერია ბრძოლის ველზე** და **პრივალოვის მილიონები**. მეორე სერია მამინ სიბირიაკის ცნობილ რომანიდან, მონაწილეობენ: პუტილო ბროკენსკისა, გარდინისა და კამეისკისა.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 15 თებერვლიდან ახალი პროგრამა

შესვლა კონტრამარკით. კომიკური.

უკანონოთ შობილი.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად, მონაწილეობს ცნობილი მსახიობი ქალი

ვ. გ. ორლოვისა.

ანონსი: 19 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება **საფრანგეთის არტილერია ბრძოლის ველზე** და **კატერინა თავის მკვლელი**. ვლ. [illegible] ცნობილი [illegible] ბიდან. დრამას სდგამს მხატვარი ა. არკატოვი. **ლამის გმირი გავადი**, სასაცილო სურათი მმ. 3 ტესი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესაძლებელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი.

შემოსული ბაჟის 2/3 გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო 1/3 დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ ამიტომ ამ ბაჟის მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმს“ და „ამპირში“ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თბილისის კომერციული ბანკის საბჭო

საყოველთაოდ, პატივისცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ თანახმად ფინანსთა მინისტრის ნებართვისა 23 იანვარს 1916 წლისა,

თბილისის კომერციული ბანკს დღეიდან ეწოდება „კავკასიის ბანკი“. 1—1
54

წარმოდგენა № 55, 56, 57, 58.

ქალაქი ქუთაისი. **„ქართული დრამა“** ქალაქის თეატრი.

პარასკევს, 19 თებერვალს **იაფ-ფასიანი წარმოდგენა.**

მეორედ

ბ ე დ ი ს ტ რ ი ა ლ ი.

5 მოქმედებად. **„მოლიკულ გზის“** ავტორის ერისთავ-ხოშტარიასი.

შაბათს, 20 თებერვალს **შალვა დადიანის ბენეფისი.**

გადაჭრილი მუხა.

4 მ. ვ. შალიკაშვილისა

კვირას, 21 თებერვალს ჩვეულებრივ ფასებში უკანასკნელი **გამოსათხოვარი** წარმოდგენა.

კაბარე—მიმოხილვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნ ჟღენტის სახლი № 46 ტელეფონი № 87 თ.
14

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტალის ქუჩა, № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდროვის ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მელინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლიბულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირის გარდა.

თბილისის ქუჩ., № 10, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეტი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ცხვირ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გუბერნის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ზ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვის სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩ. ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 16 თებერვალი. დასავლეთის ასპარეზი. დვინის რაიონში სოფელ გორბუნოვკას მახლობლად და პონევეჟის რკინის გზის ჩრდილოეთით რუსის ჯარმა გადალახა გერმანელები და ცოტათი წინ წაიწია. ილუქსისა და მედუსკოის ტბების შუა გერმანელებმა იერიში მიიტანეს ჩვენს თხრილებზე, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

შავი ზღვა.

ჩვენმა ნაღმოსანმა ნავმა ზარბაზნები დაუშინა და მოსპო ბორგით დატვირთული ქარავანი, რომელიც ზღვის პირის რაიონის გზით მიდიოდა.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალეთის მთავარი შტაბი თავის ოფიციალურ ცნობაში 8 თებერვალს აღნიშნავს, ოსმალეთის ჯარმა არზრუმის

ციხიდან უზარალოდ დაიხია. ციხეში კი 60 ძველი უვარგისი ზარბაზანი დაუტოვეთ. ამასთანავე ერთად უარყოფენ ვითომდა რუსების მიერ გავრცელებულ ხმებს არზრუმში ათასი ზარბაზანი ჩაგვივარდა ხელთ და 80 ათასი ტყვეო. იგივე ცნობა გადმოგვცემს, არზრუმი უმნიშვნელო ადგილია, იგი ციხე კი არ იყო, არამედ გაუმაგრებელი ადგილიო. ამიტომ უმაღლესი მთავარ-სარდალი იუწყება, არზრუმის ციხე, როგორც ერთად-ერთი გამაგრებული ადგილი აზიის ოსმალეთში, იცავს დასავლეთ-სომხეთსა და ანატოლიას. იგი ჰკეტავს ამიერ-კავკასიიდან აზიის ოსმალეთისაკენ მიმავალ ყველა საუკეთესო გზას. ციხეს გერმანელების დახმარებით, ოსმალები ამაგრებდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში. თავის თავადაც მდებარებით ძლიერი ადგილია და დაცული მთებით, ფორტებით გამაგრებული ციხე ჩვენი ჯარის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა და ოსმალები თავგამოდებით იცავდნენ ციხეს, რასაც მოწმობს ბრძოლათა აუარებელი რიცხვი. მაგრამ კავკასიის ჯარმა ყოველივე დაბრკოლებას გადალახა, რომელიც ბუნებამ და ოსმალებმა მოუმზადა, იერიშით წაიღო. იერიში უმთავრესი ფორტებისა იწარმოებდა 28 იანვრიდან 2 თებერვლამდე, როდესაც მარცხენა ფრთის ფორტები ხელთ ჩავიგდეთ, შუაგული და მარჯვენა ფრთის ფორტების ბედი თავის თავად გადაწყდა. 3 თებერვალს, მეორე იერიშის შემდეგ, ეს ფორტებიც ხელთ ჩავიგდეთ, იერიშის დროს ციხის ზოგიერთი პოლკი აფიცერთა მთელი თავისი შემადგენლობით ჩაგვივარდა ხელთ, ან სრულიად მოვსპეთ. მარტო ფორტებში ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 197 სრულიად ახალი ზარბაზანი სხვა და სხვანაირი ზომისა, ციხის შუაგულ ადგილას კი ხელთ ვიგდეთ კიდევ 126 ზარბაზანი. არზრუმის გამაგრებულ რაიონში ჩვენ დაგვრჩა აუარებელი საწყობი და ტყვეები — 235 აფიცერი და 12750 სალდათი. რამდენად ძლიერ დარღვეულია ოსმალეთის ჯარი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთ კორპუსში სულ 3 5 ათასი კაცი ღა დარჩა. ოსმალეთის დატყვევებული აფიცრები და სალდათები უჩივიან თავიანთ უფროსებს, ყველაფერი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ; არეულ-დარეულობის დროს გერმანელებმა პირველად დატოვეს ციხე და ამით უკვე შემკრთალ ჯარში უფრო გააძლიერეს შიშიანობა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გერმანია მიეშველა ოსმალეთს.

ბუქარესტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სტამბოლიდან მისული კერძო ცნობებით ოსმალეთის სამხედრო-მმართველი წრეები დიდად შეშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ არზრუმის დაცემამ და რუსების გამარჯვებამ ოსმალეთის ჯარში შიშიანობა და დემორალიზაცია გამოიწვია. ბევრ ალაგას ჯარში უდისციპლინობა გამეფდა, ბევრგან კიდევ უკმაყოფილება დაიბადა. ყველა ამების ჩასაქრობად და რუსების შესაჩერებლად ფიცხლად განკარგულებისამებრ დარდანელში მდგომი გერმანიის ლაშქარი დაუყოვნებლივ ხმელეთისაკენ გაგზავნეს სტამბოლიდან სივასამდე რკინის გზაა გაყვანილი გერმანიის ჯარს დავალებული აქვს, რომ ოსმალეთის ჯარში დისციპლინა და წესიერება აღადგინოს, გაამხნეოს იგი და რუსების წინსვლა შეაჩეროს. ცუდი ამინდის გამო და უბედურად მოწყობილ საინტენდანტო უწყების უბედური მოქმედების მეოხებით ოსმალეთის ჯარს ვერც სურსათს და ვერც სამხედრო მასალას დროზე საკმაოდ ვერ აწვდიან.

——

გერმანელების ახალი შეტევა ძლიერ ფართოდ არის დაწყებული და მისი ხელმძღვანელობა თვითონ კრონპრინცს აქვს ნაკისრები. პარიზიდან იუწყებიან, რომ ხმებია ვერდენთან საჭიროთ გახდა თვითონ ვილჰელმიო. ალბათ ეს ბრძოლა მას გადამჭრელ გენერალურ ბრძოლად მიაჩნია და ფრონტზე თვითონვე უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ფრანგული პრესის სამხედრო მიმომხილველები გერმანელების წინანდელ შეტევის ძლიერებას ახლანდელისას ადარებენ და დაასკვნიან, რომ თუმცა გერმანელნი ახლა მეტი ძლიერებით უშენენ ყუმბარებს და საოცარი სიუხვით აყრიან სიმაგრეებს ყოველგვარ გამანადგურებელ იარაღებს, მაგრამ შედეგი წინანდელთან შედარებით ძალიან მცირეა და ეს პრესის აზრით აიხსნება იმით, რომ ახლა ფრანგები წინანდელთან შედარებით უფრო მომზადებულად ხვდებიან და მხნეობის, თავგამეტებისა და საარტილერიო იარაღების ძლიერების მხრით გერმანელთ არ ჩამოუვარდებიან. ასეთ თანასწორ ძალთა შეტაკების შედეგი ისაა, რომ გერმანელნი ახლა მხოლოდ კუს ნაბიჯით მიიწევენ წინ და ისიც აურაცხელი მსხვერპლის გაწირვის შემდეგ.

„გერმანელთა გეგმა აშკარავდება

კოპენჰაგენიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ბევრი ფრანგული გაზეთის აზრით საფრანგეთის ფრონტზე საპოზიციო ბრძოლას დასასრული ეძლევა და ხელახალი საოპერაციო ომი იწყება გაშლილ ასპარეზზე. მრავალ დღეების განმავლობაში გამუდმებულმა ზარბაზნების და ყუმბარების დაშენამ პოზიციებზე ცხად ჰყო, რომ ასით [illegible] ყუმბარების სროლის და მის ძლიერებას ვერავითარი სიმაგრე ვერ უძლებს. ამიტომ იყო ალბათ, რომ გერმანელებმა ახალი „უკანასკნელი" შეტევის დაწყება გადაწყვიტეს და პირველად საფრანგეთის ფრონტის პოზიციებზე მიიტანეს იერიში. ამას ამტკიცებს ის პროკლამაცია, რომელიც მე-15 კორპუსის ერთ ტყვე გერმანელ ჯარის კაცს ჯიბეში უპოვეს. იქ სხვათა შორის სწერია შემდეგი: იმედი მაქვს, ამბობს კორპუსის უფროსი, გენერალი დეიმლინგი, რომ ჩემი კორპუსი ამ უკანასკნელ შეტევის დროსაც დიდ მხნეობას და ვაჟკაცობას გამოიჩენს ისე, როგორც წინანდელ შეტევის დროსაც იჩენდენ ხოლმე.

რუსული პრესა.

სასოებით და დიდი იმედებით შეხვდა სახელ. სათათბიროს სხდომების გახსნას რუსული პრესა. შავი და ყვითელი ბლოკი ერთნაირი სიხარულითა და იმედით ელოდა მას. ხოლოდ ერთად ერთ წითელ ბლოკს არა სწამს მისი ცხოველმყოფელობა და ეჭვის თვალით უყურებს მას. დაიწყო სათათბიროს სხდომები და პირველი ორი დღის შემდეგ აშკარა გახდა, თუ ვის გაუცრუვდა იმედი, ვისი მოლოდინი გამართლდა და ვინ იძახის სასოწარკვეთილებით:

„მე ვიცი, სადაა გამოსავალი, მაგრამ როგორ გავიდეთ იქიდან, ეს არ ვიცი!"

მდგომარეობა კრიტიკულია, ისტორიულმა ზღაპრულმა სფინქსმა რუსეთს უკანასკნელად წაუყენა ულტიმატუმი: „ამიხსენ, თორემ გშთანგთქავო". რუსის „საზოგადოების" აზრ-მისწრაფებათა გამომხატველი პრესა ამ მდგომარეობას აღიარებს და შემდეგნაირად გამოსთქვამს: „რუსკაია ვედომოსტი" სწერს:

„მთავრობა და სათათბირო იმავე მდგომარეობაში დგანან ერთმანეთის წინაშე, როგორც ათნახევარი წლის წინათ. ახალი მთავრობის წინაშეც იგივე კითხვაა წამოყენებული გადასაჭრელად, რაც გორემიკინის დროს იყო. გორემიკინი შეეცადა ამ კითხვის ლიკვიდაცია მოეხდინა, მიეჩქმალა იგი ვადის გადადებით, მაგრამ ყველა ვადებმა გაიარა და კითხვა კი ისევ მთელი თავისი მრისხანებით წინ გვიდგას; და მსოფლიო ბრძოლის მსვლელობა პროცესი ნებას არ გვაძლევს ვადა ისევ გადავსდვათ".

მაშასადამე რუსეთის, საზოგადოებრივი ცხოვრება დაუყონებლივ განახლებას მოითხოვს' „ეს რუსეთის „საზოგადოებას" სჯერა, მაგრამ შავი ბლოკი და მისი გამომხატველი პრესა სულ სხვა აზრისაა და ახლანდელ სათათბიროს დიდი იმედით შეჰყურებს. ოფიციოზური „კოლოკოლი" პირდაპირ ლოცვა-კურთხევით ეგებება სათათბიროს პირველ სხდომებს, ხოლო ოფიციოზურობის კანდიდატს, თითქმის ოფიციოზს „ნოვოე ვრემიას სწამს:

სათათბირო ამ საშინელ მრისხანე ჟამს იკრებს ძალღონეს მუდამ თავისი სიბრძნისას და გამონახავს საშუალებას, რომლითაც ის წინანდელ უთანხმოება-კონფლიქტებს თავიდან აიშორებს."

ეს არ სწამს მხოლოდ რუსეთის დემოკრატიას, წითელ ბლოკს და მისი ერთი ნაწილის გამომხატველი ორგანო, გაზეთი „დენი" შემდეგ საგულისხმო სიტყვებს სწერს:

„დასრულდა ზეიმი და სათათბიროს ჩვეულებრივი სხდომები დაიწყო. დაიწყო, მაგრამ რა უიმედობის სიო ჰქრის იქიდან!

დეკლარაციების ნაცვლად მხოლოდ მოთავმა-გიდების სიტყვები გვესმის! ძალიან ცოტას ვტყობილობთ იქიდან.

ეკონომიური განადგურება-დაქცევა, ტრანსპორტის მოუწყობლობა, საზოგადო სალაროს დატაცება-გაქურდვა, ას მილიონიანი შემოსავლის ათასით და ათიათასით გადაქცევა, ის საოცარი და საშინელი პროკლამაცია—ცირკულიარი, რომლის შესახებ პავლე მილიუკოვი ლაპარაკობდა; ყველაფერი ეს მათთვის, ვინც საზოგადოების ვითარებას თვალყურს ადევნებს, სათათბიროს გახსნამდეც ცნობილი იყო. მაგრამ როცა ამას ქვეყნის წარმომადგენლები საჯაროთ აცხადებენ, ჰკობენ და თან იმასაც აღიარებენ, რომ იმედი არა აქვთ მათ მოუსმინონ—ვისგანაც ჯერ არს,—მაშინ სწორეთ უნდა ვთქვათ, რომ საიმედო რამ დასაყრდნობი მათთვის არა ჩანს. ყოველ შემთხვევაში თავრიდის სასახლიდან ასეთს რასმე არ უნდა მოველოდეთ. და ქვევით კადეტების ლიდერის, პავლე მილიუკოვის სათათბიროში გამოსვლის გამო გაზეთი გულის ტკივილით და თან მწარე იუმორისტული კილოთი კითხულობს:

„განა საოცარი და საშინელი არაა ის გარემოება, რომ ქვეყნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ამ სახელმწიფო მომენტში იმასღა ცდილობს, რომ მთავრობა ელემენტარული მაგალითებით და მეომარ სახელმწიფოების იმედით დაარწმუნოს იმაში, რომ „საზოგადოებასთან" მთავრობის შეერთებული მოქმედება ქვეყანას იხსნის? განა აშკარა არაა, რომ ასეთი რჩევა ვიდრება შესმენილი არ იქნება, ვიდრე ამას მავედრებელნი და მთხოვნელნი კიდევ არიან ქვეყნათ და სათათბიროს ხვეწნა-მუდარის გარდა სხვა საშუალება ვერ გამოუნახავს?.

სწორედ ეს გარემოება აგდებს მილიუკოვს სასოწარკვეთილებაში და ამიტომაც იძახის ის: „მე არ ვიცი საშველი [illegible] მლითაც შეიძლებოდეს აქედან გამოსვლა! მე ვიცი სადაა გამოსავალი, მაგრამ არ ვიცი როგორ გავიდეთ იქიდან!

„დღეს, როცა [illegible] ლოვო განაჩენს აძლევს ხალხთა და სახელმწიფოთა მომავალ მდგომარეობის შესახებ, დასძენს დასასრულ გაზეთი, ერთნი ბნელით მოცულნი ძირს დაფუსხავენ და ისე ეძებენ გამოსავალს, მაგრამ ვეღარ ჰპოვებენ; ხოლო სხვანი არც კი ფიქრობენ გასავლის ძებნას! განა საქმის ასეთი ვითარება თმას ყალყზე არ დაგვიყენებს?!"

არა თავზარის დაცემა და შეძრწუნება გმირს არ შეშვენის. რუსეთის დემოკრატია უფრო გაბედულად შეხვდება ამ მომენტს და მხნეთ გასწევს წინ!.

ქ. ქუთაისი, 19 თებერვალი.

როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, ისე თითოეულ ერისა თუ სახელმწიფოს ისტორიაში არის ისეთი დღეები, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია!

ასეთ დღედ, სხვათა შორის, ითვლება 19 თებერვალი, ის მადლიანი დღე, როდესაც მთელი რუსეთის ხალხს და მათ შორის საქართველოის მშრომელ ხალხსაც აუწყეს დიდათ სასიხარულო ამბავი.

ამ დღეს დაიმსხვრა ბატონ-ყმობა და მუშა კაცმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

მაშ, კვლავ მადლობით მოვიხსენიოთ ეს დიადი დღე და მთელის ჩვენის არსებით შევეცადნეთ, რომ ფიზიკურ ბატონ-ყმობასთან ერთად დაინგრეს ის სულიერი ბატონ-ყმობაც, რომელიც სამწუხაროდ ჯერ კიდევ გამეფებულა ჩვენ შორის.

ვისურვოთ, რომ ამიერიდან მაინც მიეცეს „ნიჭსა გზა ფართო, თავისუფლება ღირსებას" და მშრომელ ხალხსაც გასთენებოდეს დღე სრულის კმაყოფილებისა.

19 თებერვალი.

რუსეთის დახავსებულ, დესპოტურ და ძველის ნაბიჯით მიმდინარე ცხოვრებისთვის,

აკაკის დაუბეჭდავი ლექსები.

წყევა უკუნისამდე.

იყოს წყეული სოფელი
და მისი სიტკბო—სიამე
იმისი სასწორ სიმრუდის
ხელში მიჭირავს სია მე.

——

სხვის ვარდის კონა... ყვავილი
გულში ფინთიხად შემასო,
სხვისი შარბათი და თაფლი
მე ნაღველ-შხამად შემასო.

——

მედიდინაცვლო, მიგერო
ობლად მატარა მიწამა,
გამოსხლეტილი ტოლებში,
სისხლ-ხორცად აღარ მიწამა.

——

განქრა ფერადი ოცნება
სადაც ვეღოდი, სად არი?
დაჭნელდა ჩემთვის სიცოცხლე
სხვისთვის სამზეო—სადარი!

——

და აღარ მინდა სიცოცხლე,
გულ გატეხილი წამებით!
ნეტამც ველი სიკვდილსა,
დროს ვანკარიშებ წამებით!

——

ანდერძი ჩემს შვილს

გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
რაც უნდა ჭირში ჩავარდე!
ცხოვრების დახლართული გზა
უშიშრად გაიკვალე!

——

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც
შეუნდე წრფელის გულითა
მით ამაღლდები მდაბალი,
სხვებისგან სიყვარულითა!

——

მარტო ცებს თავზე ნუ ჰხრუნავ.
სხვებსაც გაბნევდეს მარადა,
შრომა აიღე მახვილად,
და მოთმინება ფარადა.

——

აი ეს არის ამ ქვეყნად
შვება და ბედნიერება
და უკვდავების მარადი,
უქცნობი მშვენიერება!

აკაკი.

1909 წ. 1 ივნისი.

ქუჩაში.

(ესკიზი).

...სწორედ მეორედ მოსვლის ნიშნებია! ძმა ძმას აღარ იცნობს, შვილი მამას,—უფროსი—უმცროსს, დიდი—პატარას..... გაგონილა, თქმულა ასეთი ამბავი? ტყუილად არ არის ნათქვამი „აღსდგეს ნათესავნი ნათესავსაზედაო!" შემომჩივლა ერთმა, ჩემმა ნაცნობმა, ახლა კი გალოთებულმა დიაკონმა კირილემ.

ეს ამბავი მოხდა თბილისის ერთ მიყრუებულ ქუჩაში, ფილაქანზე.

— არ გაგიშვებ, მამაშვილობამ! მინდა დავრწმუნდე, რომ შენც ადამიანი ხარ, შენც ღვთის ქმნილი მამიძღვარი!.. აღარ ისვენებდა კირილე.

დიაკონი ცოტა გადაკრულში გახლდათ, აღელვება ეტყობოდა და რადგანაც ერთ დროს ერთად ვსწავლობდით, ძლიერაც გამითამამდა.

— დიახ, უნდა მომისმინო და ამიხსნა რისთვის გამომძევა სოფელმა, რა დავაშავე? მკვდარს თავის დროზე ვერა ვმარხავდით, ბავშვებს ვერა ვნათლავდით, ვერა ვწირავდით და ვლოცავდით, თუ ღვინოს ვერა ვსვამდით? მითხარ ერთი, თუ ღმერთი გიყვარს!..

მე არც დრო მქონდა და არც თავი მასთან ლაპარაკისა და მოკლედ მოვუჭერ ხუცური სიტყვებით:

— რომლითა საწყაულითა მიუწყავთ, მოგეწყოსთ თქვენ—ხომ გაგიგონიათ— მეთქი.

— კარგი, მაგრამ, ე ქვეყანა ხომ ინგრევა!.. ვის გაუგონია ასეთი ამბები? კიდევ დაგეკითხა კირილე და ხარივით დამიბღვირა.

— „ოდეს გესმოდეს ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე პირველად ყოფად!" უნდა დამემშვიდებინა კირილე და თან განზე ვიხედებოდი—ნეტა როდის მომეცლება მეთქი.

— მაშ შენც ეგრე? შენც მამტყუნებ? შენც ხომ მღვდლად ემზადებოდი, მაგრამ სემინარიიდან კუდკუდ ამოგკრეს და ვეღარ ეღირსე... შენ ვიღას დასცინი, შვილო!!

— მე არ დაგცინი, მე მინდა მოგაგონო, რომ საღვთო წერილში ნათქვამია: საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენა.

— შენ კი დიდ საქმეს აკეთებ, შენმა სიცოცხლემ!—დაიწყო წყრომით კირილემ—მთელი დღე დარეტიანებული ინდოურივით დახეტიალობ, გულ-ჩახვეული ჰფიქრობ ათას ეშმაკობაზე და ხალხს აზავთებ. ერთხელ ხომ გიჩვენეს ვირის აბანო! აღარ გაჩერდები?..

მე მხრები ავიწიე.

— რომ იცოდე, როგორ მებრალებოდი მაშინ—აღარ ისვენებდა დიაკონი—ორჯერ—სამჯერ ნაწილიც კი ამოვაღებინე-ალდე—გრძელე—მეთქი, ღმერთო, მონა შენი დაუდეგარი—ტიმოთე!.. გესმის, შენისთანა ცოდვილისთვის ღმერთიც კი შეაწუხე? [illegible] კირილე და ფეხებს აბაკუნებდა.

— გმადლობ, მაგრამ რა გინდა? თავს აღარ დამანებებ? ღიმილით ვუთხარი და კვლავ წასასვლელად დავაპირე.

— არ შეიძლება,—გადამეღობა ისევ წინ,—მე შენთან ლაპარაკი მწყურია, რაც სასწავლებლიდან გამოგაგდეს, აღარ მინახვიხარ, მინდა გეუბნე... ამასთან ძალიან გაჯავრებულიცა ვარ...

— ღმერთი ილოცე მეთქი! ვანუგეშე კირილე.

— ღმერთი გაჯავრებულია შვილო, ღმერთი გაწყრალია! ნაღვლიანად სთქვა დიაკონმა და მწარედ ამოიოხრა.

მე გამეცინა.

გაიცინე, გაიცინე თორემ... მაგრამ ან კი რა გელაპარაკო... აჭრილა გაზეთებში ვწერო, შენი თავი დიდი ვინმე გგონია. განა მე კი არ ვიცი შვილოსან, ერთ დროს მწყრალი! ჩემისთანა მოიმე სანთლით არ მოიძებნებოდა.—გადააბრუნა სიტყვა კირილემ, ალბად იმიტომ, რომ მოუთმენლობა შემატყო. მერე ჩაახველა და ჩაფიქრდა: რაღაცას იგონებდა. ვიდრე ის მოიგონებდა რასმე, თვალწინ დამხატა მისი წარსული.

ის იყო ერთი რაღაც უნიადაგო არსება, ერთი იმათგანი, რომელსაც ცხოვრების მიზნათ გაუხდია თბილი ბუხარი, ლამაზი ცოლი, კარგი მზითევი, წითელი ნუნუა და გრძელი კაბა-ანაფორა.

— დიახ ერთ დროს მეც ვთანამშრომლობდი გაზეთში—დაარღვია სიჩუმე კირილემ—მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. დრო მშვიდი, წყნარი, თავაზიანი, ზრდილობიანი. ყველა ერთი მეორეს მოწიწებით შეჰყურებდა. მაშინ არც დასოზავა იყო, არც დემოკრატობა, არც მძიმე [illegible], არც მიმართულება და არც ზახრუმალო, მაშინ სულ ჩვენები თანამშრომლობდნენ!

ახლა გაუწყრათ ღმერთი ჩვენ მეგაზეთეებს, რედაქციაში აღარ გვიშვებენ, თორემ წინად რედაქციაში რომ შემოსულიყავი, კარიდორში ოცდაათი ანაფორა ეკიდა. ეჰ! წარვიდენ დრონი ნეტარნი, დაგვებერეყვეთ, შვილო და ეს არის!.. მაგრამ ტყუილად როდია ნათქვამი საღვთო წერილში: „ყოველივე თესლები გარე მომადგენ მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ.—აღარ ათავებდა კირილე.

ცოტა კიდევ და მე აღარ მოვუთმენდი მაგრამ ამ დროს გამოიარა ერთმა ლამაზად ჩაცმულმა კაცმა და... მოხდა ის, რასაც არც მე და არც კირილე, არ მოველოდით...

ყმაწვილმა კაცმა ალმაცერად შეხედა დიაკონს, მერე დაიღრიჯა, დასწვდა ქუდს, ზედ დააფურთხა და გადააბრუნა...

დიაკონს ნაცრის ფერი დაედო, გაფითრებული მივარდა ახალგაზრდა კაცს, სწვდა საყელოში და მორთო ყვირილი —გოროდოვოი, დვორნიკ! დაიჭით, ამან შეურაცხმყო... აი, შე არამზადავ! მოვა დრო, რომ ჩვენ ისევ პატივცემულნი შევიქნებით, როგორც წინად ვიყავით! ყვიროდა დიაკონი და თან ილანძღებოდა.

ახალგაზრდა კაცი დაცინვით უყურებდა მიწასთან ასწორებდა და თან განთავისუფლებას სცდილობდა.

ასტყდა ხმაურობა, აქეთ-იქიდან მოისმა გოროდოვოების ჭყრიალის ხმები, უსაქმური ხალხი ჩვენსკენ მორბოდა. ერთი თვალის დახამხამებაზე მთელი ქუჩა ხალხით გაივსო. ვინ რას ამბობდა, ვინ რას ყვიროდა, აღარა ისმოდა რა...

მე ვისარგებლე ამ არეულობით და მოვკურცხლე რედაქციისაკენ, რასაც იმედია, მკითხველი სიმხდალით არ ჩამომართმევს...

ია ეკალაძე

მეტად ნა- ...ელი და ისტორიული დღე 19 თებერვალი. ამ დროს რუსეთი არ სა- ...ლდებო კიტხვაი? იყოფოდა. ერთ ...ზე იდგენ: ალ. პუშკინის ევგენი ...ნეგინისთანა ტიპები, რომელთაც ზედმეტ და არა ბუნებრივ ცოდნის წყალოთ ქვეყნისთვის არავითარი სარგებლობა მოტანა არ შეეძლოთ გარდა ბალებზე სიარულისა, მეორეს მხრივ იყვნენ ...ტურგენევის გმირები, რომელთაც ნიჭიც ...არიც ჰქონდათ ბევრი რამის გაკეთებაც ...ლოთ, მაგრამ, ბორკილებ გაყრილი ...ს იხვრაში ატარებდენ მოწამლულ ...ცხლეს.

...ამ დროს ევროპის სახელმწიფოებრივ ...ცხოვრებაში არა ჩვეულებრივი მოძრაობა ...ო, ნაპოლეონის მიერ გამოწვეულ ...ლევა ნგრევის შემდეგ ევროპის ხალხს ...სიფხიზლე დაეტყო რაიც დრო გა- ...მეებით რუსეთის მოწინავე ინტელი- ...ენციასაც ალელვებდა და თან იმედს მგვრიდა. განსვენებულმა მეფე ალექსანდრემ ...19 თებერვალს მაღალწოდებას ზურგი ...აქცია და ოფიციალი მანიფესტით ალიარა გლეხთა განთავისუფლება მიწებით.

ხსენებული მანიფესტი რუსეთთან თავის ...ბით შეერთებულ საქართველოშიც უნ- ...ა განხორციელებულიყო, მას მაშინდელი ...ენი გამოჩენილი მამულიშვილები ილია, ...მიტრი და სხვანი დიდის აღფრთოვანებით და იმედით მიეგებნენ სხვათა შორის ...ლიამ ალექსანდრეს რეფორმას საქართველოში შემოსვლას შემდეგი სიტყვები ...უძღვნა.

„...გსმის მგსმის სანატრელი ხალხთ მტერ- ...ს ბორკილისა... ღმერთო ღმერთო, ეს ...ა ტკბილი გამიგონე ჩემს მამულში“...

...მანიფესტის განხორციელება საქართველოში ისეთის ჩქარის ტემპით ვერ მოხდა ...როგორც რუსეთში, ილიამ და დიმიტრიმ ...ცოცხლებით ვერ შესძლეს რეფორმის ჩვენდა ...გვარით განხორციელება, რაიც სათანადო მიზეზებით აიხსნება (მოიგონეთ ჩვენი ...ხანი მაღალი წოდება) და დღესაც ...ჩვენში კიდევ სადავო საკითხებად არის ...დარჩენილი ხიზანთა საკითხი. გლეხთა მიწებით განთავისუფლება და სხვა მაგრამ ...მიუხედავად ყველა ამისა, 19 თებერვლის ...რეფორმამ, მაინც დიდათ წასწია წინ როგორც ჩვენი ისე რუსეთის ცხოვრება და ...დღეს 19 თებერვალს მრავალჯერ განმეორებით იდღესასწაულებს, როგორც რუსეთის ისე საქართველოს მცხოვრებნი.

ირ—დი.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

◆ ქუთაისის ქართული გიმნაზიის უკვე ...ევიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ...მზრუნველისაგან მოწერილობა, რომლის ...თანახმადაც გამოცდები მეექვსე და მერვე ...კლასებში უნდა მოხდეს ნაადრევად, ...რომ გათავდეს და წაისვლ სამხედრო ვარჯიშობა დაიწყონ.

◆ კვირას, 13 მარტს, ადგილობრივ ...ქალაქის თეატრში გაიმართება ჩვენი მგოსნის შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის) 30 ...წლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის აღსანიშნავად სადღესასწაულო ...დილა. ამ მიზნით კიდეც შესდგა დილის ...მართველი კომისია, რომელმაც შეიმუშავა პროგრამა, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დღესასწაულზე ბავშვებმა და სასწავლებლებმა. მაგრამ, რადგანაც სასურველია, რომ ამ დღესასწაულს ...ერთო ხასიათი ქონდეს, ამიტომ საჭიროა მიიღონ მონაწილეობა სხვა და სხვა ...კულტურულ და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და თავისი წარმომადგენლის პირით აცნობონ საერთო კრებაზე, ...თუ როგორი და ან რა სახით შეუძლიათ ...მიიღონ მონაწილეობა ამ სადღესასწაულო დილაზე. კრება გაიმართება პიატნიცის ზავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, 22 თებერვალს, საღამოს 6 ს.

◆ 20 თებერვალს, ქუთაისის ქართულ ...თეატრში დასის რეჟისორის საბენეფისოდ ...წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის პიესა — ...გადაკრული მუხა.

◆ მივაქციეთ ქველმოქმედთა ყურადღებას თეო მგალობლიშვილის მეუღლის ...ტრაგიულს მდგომარეობაზე, რომელსაც 32 წლის შვილი მძიმე ავადა ყავს და ...არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნია. იგი ცხოვრობს მესამე ალექსანდრეს ...ქუჩაზე, სადაც გულშემატკივარ პირთ ...შეუძლიათ მიაწოდონ თავისი წვლილი.

◆ ონურგეთის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ვ. ჩერნოვი ქუთაისის გუბერნატორმა უმაღლეს მთავრობასთან წარადგინა პოლკოვნიკის ჩინზე დასაწინაურებლად.

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებამ, შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნან ი. შ. ხეთერელის პასუხის მგებლობით ს. იანეთში (ქუთ. მაზ.) უფასო წიგნსაცავი სამკითხველო.

◆ როგორც დაბეჯითებით ამბობენ, ქუთაისის ქალაქის გამგეობის მიერ წევრის ადგილზე არჩეულ ბ-ნ სოლომონ წერეთელს ვერ დაამტკიცებენ ხსენებულ თანამდებობაზე, რადგანაც სენატის განმარტების თანახმად, უფლება არ აქვს კენჭი იყაროს იმ პირმა, ვინც ქალაქის ხმოსნების ამომრჩეველთა სიაში არ არის შეტანილი.

◆ ქუთაისის გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქუთ. ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ წარმოადგინოს 1912, 1913 და 1914 წლების ქალაქის ხარჯთაღრიცხვა.

აგრეთვე წინადადებას აძლევს უახლოეს საბჭოს სხდომაზე შეიტანონ სახალხო გასართობების მოწყობის საკითხი ქუთაისში.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა წინადადება მისცა ქუთაისის განყოფილებას, რომ სააღდგომოთ მოაწყონ ჯარისკაცებისათვის საჩუქრები.

◆ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ გუშინ მიიღო ამა წლის იანვრის „ნაკადული“ № 1 მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის. ხელის მომწერლებს იგი კანტორიდან დაურიგდება.

მანვე მიიღო ახალი ქართული წიგნი „სახ. ფურ.“-ის გამოცემა „სამამამადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“ სამსონ ფირცხალავასი, ფასი 6 შაური.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა პოლიცმეისტერს წინადადება მისცა განმარტება მოსთხოვოს ქუთაისის თვითმმართველობის ყოფილ შემადგენლობას: ს. ა. ქვარიანს, დ. ა. ლორთქიფანიძეს, გ. ი. გველესიანს და ა. მ. გაბაშვილს.

ამათ ეხებათ ქალაქის სათადარიგო თანხის უკანონოთ დახარჯვა. ასეთივე წინადადებაა მიმართა ახლანდელ ქუთ. ქალაქის მოურავს ბ-ნ ი. მ. ჩიქოვანს და მის მოადგილეს პ. მოსიძეს.

◆ გუშინ ქუთაისის საშუალო და დაბალი სასწავლებლის მოწაფეები მეორე გაკვეთილიდან დაითხოვეს სამი დღით საყველიეროთ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დააჯარიმა შემდეგი პირნი: ქუთაისის მოვაჭრე მოშე კაკიტელაშვილი ორი კვირით დატუსაღებით, ან 25 მან. ჯარიმა უნდა გადაიხადოს!

◆ რედაქციამ მიიღო გაზ. „შრომის“ გამოცემა ლიტერატურულ მხატვრული კრებული „სხივი“ შინაარსი: ა) **მახ. ბოჭორიშვილი**: 1. კოლხეთის ცის ქვეშ 2. მწუხრიშვილის დღიურიდან. ბ) **გ. მუმლაძე**: შავბა-ლხენის წყვილი (თანამედროვე ომის სურათები) ვ) **ნ. მიწიშვილი**: პატარა ნოველები: 1. საიდუმლოება ცხოვრებისა; 2. შური; 3. მიწავ, მშობელო 4. რა სურდა მას გ) **ია ეკალაძე**: თვალები, მხოლოდ თვალები! დ) **ჩახრუხაძე**: ეი, მიხედეთ! (ლექსი) ე) **გ. ტაბიძე**: მთვარის ლანდები (ლექსები) ვ) **ლეო ა. შენგელია**: ლიტერატურული შენიშვნები: 1. ლიტერატურული კრიტიკა და მისი დანიშნულება: 2. „სინათლე“, როგორც პსიხოლოგიური ნაწარმოები; 3. ქალი გრძნეული; 4. მგოსანი და მოქალაქე თანამედროვე ჩვენს პოეზიაში ზ) **გიგო**: სიმბოლიზმი კ) **გიგა ჟულელი**: 1. ორიოდე სიტყვა თან. ქარ. მწერლობაზე. 2. ფოტოგრაფი 3. მოგონებანი X რედაქციისაგან კრებული 176 გვ. და ღირს ერთი მანეთი.

— —

სათეატრო ქრონიკა.

დღეს ქართულ თეატრში **უკანასკნელი იაფ-ფასიანი** წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება **მეორედ „ბოლიპულ გზის“** ავტორის ერისთავ ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებულ **„ბედის ტრიალი“**.

— —

ხვალ 20 თებერვალს რეჟისორის **შალვა დადიანის** ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის **„გადაკრული მუხა“**.

შ. დადიანი.
(ხვალინდელ ბენეფისის გამო).

საღამო ეპარქიალურ სასწავლებელში.

ცხოვრებაში არიან ისეთი წუთები, როცა ადამიანი, დღიურ ჭირ-ვარამს ივიწყებს, და სულითა და გულით სტკბება ... წუთებს, თავისუფლების ... ადამიანი, ეროვნულ ნიადაგზე უცხოვდება. ერთი ასეთი სულისა და გულის დამატკბობელი წუთი ქუთაისის საზოგადოების ერთმა ნაწილმა გუშინწინ წუთები 17 თებერვალს ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის სალიტერატურო საღამოზე განიცადა. სალიტერატურო საღამოები ჩვენს კურთხეულ ქუთაისში ბევრი იმართება, მაგრამ ამ საღამოებს ყველას ის აკლია, რაც ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის საღამოს ამშვენებდა ეს მშვენება გახლავთ ნაციონალური ელფერი, საღამოს ქართული სული და გული. ხსენებული სასწავლებელი თითქმის ყოველ წლობით მართავს ასეთ საღამოს და საზოგადოება ყოველთვის დიდი სიამოვნებით რჩება, მაგრამ წრევანდელმა სალიტერატურო საღამომ შინაარსის მხრით, ყველას გადააჭარბა. საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა პირველი განყოფილება რეფერატით დაიწყო. რეფერატი უკვდავი აკაკის პოეზიას შეეხებოდა, იგი მეტათ შინაარსიანი გამოდგა და მშვენიერად წაიკითხა ლიუდმილა კვინიკაძის ქალმა. შემდეგ წარმოადგინეს „პატარა კახი“. მოწაფე ქალებმა ყველამ თავ-თავის როლი, ნაციონალურ ვაჟურ ტანისამოსში გამოწყობილებმა, გემოიანად შეასრულეს, მაგრამ ა. ავალიანის ქალის მიმოხვრა, ენის მეტყველება და სიდინჯე მეტათ ლამაზი იყო, ნამდვილ ბატონიშვილს „პატარა ირაკლის“ გავდა. მეორე განყოფილება ლექსების კითხვით დაიწყეს კარგათ წარმოსთქვა „გორგის“ ლექსი „აკაკის ხსოვნას“ ყურაშვილის ქალმა. მშვენიერი იყო საკუთარი ლექსი თ. ციბაძის ქალისა და სხვა. მესამე განყოფილება სიმღერებით დაიწყეს. ბ. ხიზანაშვილი-გალოვის მასწავლებლითგან სასიქადულის კარგი მცოდნეა და ყურადღების ღირსია მოღვაწეობის მხრით. საღამოს საზოგადოება ბლომათ დაესწრო, მოიჭარბებდა უფრო დემოკრატიული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, არისტოკრატიის წრიდან ექიმები და ვექილები არსად სჩანდნენ. დიდათ სამწუხაროთ არც ყველა ქალაქის მღვდლები ყოფილან. საღამო დაიწყო 8 საათზე და გათავდა 12 საათზე. საღამოს წეს—რიგს საუცხოვოთ იცავდენ მოწაფე ქალიშვილები. დიდი მადლობის ღირსი არიან აღმზრდელნი და მასწავლებელნი ამ ნაციონალური სასწავლებლისა ესთეტიკურ ეროვნული გრძნობის გაღვიძებისათვის.

მ. ბუაჩიძე.

ჩვენ შორის.

ნათქვამია: ობლის კვერი ცხვაო, გვიან გამოცხვაო და ეს თქმულება სავსებით შეეფერება ძია შიოს დღევანდელ მდგომარეობას.

კერძოთ ამ სტრიქონების დამწერს ეჭვი არასოდეს არ ჰქონია, რომ შიოს მადლიანი კალამი, მისი სადა, მაგრამ ბროლივით სუფთა ლექსები დიდხა და დაუფასებელ ... სთესდენ ჩვენის მოზარდი ... გულში, მაგრამ პირადი კერძო ... შიო მღვიმელისა ისე უკეთურად ... მოწყობილი, რომ ყოველ მის გახსენებაზე ძალაუნებურათ წამოგვცდებოდა ... „სიტყვები სასაყვედურო“ ჩვენი ... წოდებულ მოწინავე ინტელიგენციისა და „ნაფიც კრიტიკოსთა, მიმართ ... ერთნი ვერ მიექცნენ მართებულად ჩვენ შიოს და მეორენი ივიწყებდენ ... რომელიც შიომ დასდვა ჩვენ მწერლობას და იმ დროს როცა მხოლოდ ტკბილ ხმათა „მომღერალ მგოსნებს“ სრულიად დაუმსახურებლად ხელით ატარებდენ, შიოს შესახებ კრინტსაც არ სძრავდენ. მაგრამ მადლობა ღმერთს, ნავსი გატყდა, შიო, ჩვენი ტკბილი შიო წარსდგა ქართველი **ხალხის** წინაშე და ამ ხალხმა დაანახვა ყველას, თუ როგორის სიყვარულით უტარებია შიოს სახელი თავის გულის წიაღში!

... ს წერს „საქართველოში ნიჭიერი მოქანდაკე (ესეც ჯერჯერობით მივიწყებული) და ნიჭიერი მწერალი ნ. კურდღელაშვილი შიოს დილის შესახებ:

განახავთ თქვენ სიცხე-პაპანაქებაში მონადირის ხელიდან გამოსხლტილი, ბარად დაშვებული, დაქანქანებული ირემი, პატარა წარაფის კუთხში ანკარა წყაროზე დაწაფებით გულ-გაგრილებული?

განახავთ თქვენ მკათათვის არდადეგებში ქედ-წახრილი პერანგის ამარა, საკინძ-გაღეღილი, თავზე წითელ ხელსახოცი წაკრული მომკელი, საშუადღეო ტაროზე წამომდგარ მზის აბეზარ სხივებისაგან ტოტებ დაშვებულ კაკლის ხეს რომ შეეფარება და ნეტარის განცდით ასვენებს მოქანცულს კუნთებს?

განახავთ თქვენ მტვრიან აბეზარ ქალაქიდან ველად გაჭრილი, ყვავილთა მკედრში ჩახუტებული ადამიანი, რომელსაც ნელი სიო ტკბილს ზღაპრებს უტიტინებს და საოცრებო, სანატრელ სურათებს განაცდევინებს?

განახავთ თქვენ ოჯახურ კერაზე გულაყრილი ან საზოგადო ფუქსავატობით გაქცეებული გულ ღვთაებრივ მუსიკის ხმენით კვლავ ქვეყანასთან შერიგებული მომღიმარე, ბედნიერი, იმედებით აფრთოვანებული?!

გსმენიათ ზღაპრული ზღაპარი ადამიანის უკვდავებაზე, სიცოცხლის გარდუვალობაზე, მამულიშვილურ ალტყინებაზე, ადამიანის კაცურ კაცობაზე, მშობლიურ სიყვარულზე, უზენაეს გულისთქმათა მისწრაფებაზე, ღმერთების სიყვარულზე, ქვეყნად ადამიანობის არსებობის აზრზე?.

თუ არ გინახავთ და გსმენიათ, ვერაოდეს ვერ განიცდით ამ იშვიათს ბედნიერებას, თუ არ შესულხართ იმ ყვავილთა წალკოტში, რომელსაც შიოს დილა ეწოდება.

იმ ადრეულ, შავ-ბნელ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნის კარ-მიდამო ბრძოლის ველზე განწირულთა ხსოვნას მწარე ძაძებში გაეხვევია, როდესაც ყოველი დედის გული დღეში ათასჯერ ელდით დასერილია, როდესაც გარეშე მომდგარი ურიცხვი ბოროტება თავზე შემოგვლოდა, თავზედაც ... თვით უნაზესი და უწრფელესი გრძნობა ... მიანის გულისა, როდესაც ერის ფარისეველ მოზარდთა გლოვა ... ისმის და ქვეყანა სამარ... ვანით,—საქართველოს დედა ქალაქში, ვიხილეთ წალკოტი, ცოცხალი ყვავილებისა და მათი უზადო სურნელება თილისმის მკურნალად მოევლინა ჩვენს სულს, სიცოცხლის უკვდავი ნექტარი ასხურა და დამაშვრულ იარას სალბუნებელ მალამოდ მოეცხო.

დილა, ჭეშმარიტად, შიოს დილა — ეს ნამდვილი ეროვნული გამარჯვება, იყო! ეს იყო პატარა ერის დიდი ზეიმი! ეს იყო ქართველი ერის სადი, სასიცოცხლო გულის ძარღვა.

ამ დღეს ჩვენ თვალწინ გაიშალა ქართველთა მოზარდი თაობის სულიერი თაიგული!

აქ ისმოდა ბავშურად სადა და მხიარული სიტყვა, მუსიკა, თვალწინ გვედგა ქართული მხატვრობა და ქანდაკება, ქართული ენა-ტკბილობა და ენამახვილობა, ქართული ცეკვა და ალერსი, ქართველური მშობლიური სიყვარული და სხვა...

.. ეს დილა პატარა სარკე იყო ქართველი ერის ფართე სულისა!.

ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, საღლოცავად გაუხდია თავისი ერის მერმისი, ვინც თავს ევლება ჩვილთა ბედს და მათს გაადამიანებაზე უძილო ღამეები გაუტარებია, მოვალეა ასეთი დილა ხშირად მართოს, ყველგან, ყოველს სოფელში!. ეს იქნება ემბაზი ეროვნული შეგნებისა, ეს იქნება უბიწო სკოლა ბავშვების სულის განსპეტაკებისა, ეს იქნება გრდემლი კაცად კაცობის გამომჭედი!.

ბევრი ზეიმი გადაუხდია ქართველ საზოგადოებას, ბევრი ბრწყინვალე დღესასწაული შენია უქმ და ღირსეულად და დიდის რიხით ჩაუტარებია, მაგრამ ეგოდენი უშუამავლო, სისადავით ღვთაებრივი განცდა არ გამოუწვევია დამსწრეთა შორის, რაც შიოს დილამ წაუშლელად აღბეჭდა ყოველი დამსწრეს გულში.

მოვალენი ვართ ასეთი ნეტარი სიამოვნება ვაგემოთ იმათაც, ვინც იმ დღეს ვერ ეღირსა მას. საჭიროა იმავე შემადგენლობით, იმავე პროგრამით გაიმართოს შიოს დილა, არა მარტო სახალხო სახლში, არამედ ქალაქის ყველა უბანში ბავშვებისათვის. ბევრი, ძალიან ბევრი მშობელი და ბავშვი მოითხოვს ამას.

საჭიროა ასეთი დღესასწაული დაწესდეს ჩვენს ქვეყანაში და ყველგან, წელიწადში ერთხელ მაინც გაიმართებოდეს ასეთი დილა ბავშვებისათვის!

შიოს დილა! ძია შიოს დილა! ეს არის ეროვნული დღესასწაული! ეს არის უტყუარი თავდები და გამამღვიძებელი ჩვენი ეროვნული შეგნებისა, ჩვენი ადამიანობისა, ჩვენი არსებობის გარდუვალობისა.

მაშ, ნუ მოვაკლებთ ჩვენს ხალხს ასეთს იშვიათს სიამოვნებას, ნუ დაუხშობთ ჩვენს ბავშვებს განვითარება-წინსვლის გზას, რომელსაც ასეთს საღამოებზე იწვევს მეტოქეობა ბავშვის სულის თრთოლისა!

მოვაწყოთ ყველგან, ყოველ წელიწადს შიოს დილა!..

ეს იქნება იმავე დროს უდიდესი და მრავალის ტანჯვა-წამებით დამსახურებული ჯილდო „ძია შიოსათვის“.

ჩვენ განგებ გადმოვბეჭდეთ ეს აღფრთოვანებული წერილი, ჩვენ გვინდა რომ ჩვენმა მკითხველებმაც განიცადონ ის გულწრფელი გრძნობა აღტაცებისა, რომელიც გამოკრთის ამ წერილიდან!

ჩვენ გვინდა ამით ღირსეული პატივი ვცეთ ღირსეულ ძია შიოს და მით გავამხნეოთ იგი იმ ტანჯვა მწუხარების შემდეგ, რომელიც მან, ჩუმმა, მშვიდმა და თავმდაბალმა,—დღევანდლამდე გამოიარა, ჩვენის დაუდევრობის გამო.

როგორც დღევანდელი განცხადებიდან სჩანს, 14 მარტს ქუთაისშიაც გაიმართება შიოს დილა და იმედი გვაქვს, რომ მაშინ იმერეთის ქართველობაც დაუმტკიცებს თავის სიყვარულს, ვინაიდან ხალხის შვილს მხოლოდ ხალხივე აფასებს ხოლმე!...

ა—ა.

ისმინე, ერო ისრაელისავ!

(პასუხის მაგიერ ხანანაშვილის წერილის გამო).

ვისაც სურს სხვები დააფასოს, იმან ჯერ უნდა თვით თავისი ფასი გაიგოს. ვისაც სურს სხვის მხარეებს გაეცნოს, იმან ჯერ უნდა თავის მხარეები გაიცნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა უფლება გვაქვს მოვითხოვოთ სხვების დაფასება, როდესაც თავის თავთან უფრო ახლო ვდგავართ და, თავისი ფასი არ ვიცით. როდესაც თავის თავს არ ვიცნობთ, როდესაც თავისი თავი არ შეგვისწავლია, რა ნაირად შეგვიძლია სხვების შესწავლა, და დაფასება? ერთი სიტყვით, ვისაც სურს სხვებს გაეცნოს, ვისაც სურს სხვების ავკარგიანობის გაგება, ვისაც სურს სხვების კულტურულად, ზნეობრივად, და გონებრივად, აწონ დაწონა და ღირსეულად დაფასება, ჯერ თვითონ უნდა გაიგოს თავისი ავკარგიანობა, ჯერ თვითონ უნდა შეისწავლოს თავისი კულტურული, ზნეობრივი და გონებრივი ავლადიდება, და მით უფრო ადვილი იქნება სხვების მხარეების შესწავლაც. თავისი თავისა და თავისი ვინაობის გაგება და შესწავლა ეს ერთგვარი ფილტრის გასაღებია, რომლითაც ადვილად შეიძლება შეაღო, სხვების მრავალი შესავალიც კი.

თუ ერთ ადამიანზე ეს ითქმის, ისევე ითქმის მთელ ერზედაც. ერი, რომელიც თავის ეროვნულ თვისებებს ვერ იცნობს, ვერ იცნობს თავის კულტურას, თავის ისტორიას, მას არ შეუძლია სხვა ერის თვისებების რიგიანი და სწორი შესწავლა, რომ თუ გინდა კიდეც შეისწავლოს ისინი კულტურა და ზნეობრივი მხარეებიც, იგი ეროვნულ ცნებების სინამდვილემდის მაინც ვერ ჩაიწვდება. ყოველი ერი უნდა სცდილობდეს, თავის ეროვნულ თვით გამორკვევისათვის, მხოლოდ სწორისა და გონივრულის გზით, ყოველივე საკითხის ისტორიულათ განხილვით და არა ერთი ხელის მოსმით როგორც ეს ბ. ხანანაშვილმა მოიმოქმედა.

ბ. ხანანაშვილმა, ფრიად დიდი საყურადღებო საკითხი აღძრა, ქართველ ებრაელებისათვის. როგორც მისი წერილიდან დაინახავა მკითხველი (იხ. სახ. ფურც. № 477.), მისი გამოსვლა გამოიწვია წარსული წლის საქართველოს ებრაელების რაბინების კრების მოწვევის სურვილის აღძვრამ. ავტორი ეხება თავის წერილში, კერძოთ, კრების ინიციატორთ, და ამავე დროს იგი უფრო ფართო აგიტაციაზე გადადის, სადაც იგი ამტკიცებს, თითქო ქართველი ებრაელები, ეროვნებით ქართველები არიან და სარწმუნოებით კი, მოსეს სჯულის მიმდევარნი.

იგი ქართველ ებრაელებს, ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ გრიგორიანებს და ქართველ ქრისტიანებს ერთ ეროვნულ ფარგალში ათავსებს, მხოლოდ სარწმუნოება კი, წმიდათ პირადია.

ვეთანხმები ბ. ხანანაშვილს, რომ ყოველ ერს აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებები. ეროვნება ეს ერთგვარი მცნებაა, რომელიც არ ინახავს და იმავე დროს არსებობს გოლიათისებურის სიძლიერით, რომლის გარდაქმნა-გადათილებას ვერავითარი მეცნიერება ვერ შეძლებს.

ეროვნება-მცნებაა, რომელშიაც შედის ხუთი უმთავრესი, ეროვნების გამომხატველი თვისება, რომელიც ყოველი ერისათვის კოდექსათ ითვლება. ეს არის: ტერიტორია, სარწმუნოება, ტიპიური ყალიბი ენა და ლიტერატურა, რომელიც ყველაზედ უძლიერესია; ისტორია. ყოველი ერის და კერძოთ ებრაელთ ერის, ეროვნულ კოდექსათ ეს ხუთი უმთავრესი თვისება ითვლება.

ახლა განვიხილოთ, გვაქვს თუ არა ჩვენც ებრაელებს ეს თვისებები?

ტერიტორია, რომელიც ამა თუ იმ ერის სრული მთლიანობის გამომხატველია ჩვენც გვაქვს მაგრამ ერთი შეხედვით თითქო ებრაელ ერისთვის არ არსებობს, რადგანაც იგი საკუთარ ხელის მაგიერ უცხო ხელს უპყრავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, როგორც ერს, ებრაელობას არ ქონდა, ან არ ექნება. ჩვენ გვგონია და კიდეც ასეა, რომ გვქონდა, დროებით სხვის ხელშია, და ისევ ჩვენი ჩვენვე დაგვიბრუნდება. რა საგნით და რა საშუალებით ამაზედ შემდეგ.

სარწმუნოება, ამაზე ხომ ბ. ხანანაშვილიც გვეთანხმება, რომ ის წმიდათა წმიდაა, მაგრამ რატომ გონია ხანანაშვილს, რომ იგი სარწმუნოება, გავრცელებულია რუსეთიდან მოსული რაბინების წყალობით, საქართველოს ებრაელებზე, და არა ეროვნული. სად და როდის იყო რომ რუსეთიდან სარწმუნოების გამავრცელებლები მოდიოდნენ საქართველოში, როგორც მოსეს მოძღვრების, ალბათ, ეცოდინება მას ეს ისტორიიდან და ინებოს კეთილი და ჩვენც მიგვითითოს, რომ უფრო დავრწმუნდეთ სინამდვილეში. და თუ არა, ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს ებრაელების სარწმუნოებას, არავითარი ცალკე ისტორია არა აქვს, გარდა იმისა, რაც მთელი ერის სარწმუნოების ისტორიას არა აქვს.

ენა და ლიტერატურა, ეს ერთი განძია ყოველი ერისათვის და კერძოთ ებრაელთ ერისათვის, ხომ ეროვნულია. სამწუხაროთ საქართველოს ებრაელებისათვის მან დაჰკარგა საერო მნიშვნელობა, და სრულიად მივიწყებულია, მაგრამ ამის მიზეზი იმაში კი არ უნდა ვეძებოთ, რომ ჩვენ ეროვნებით ქართველები ვართ, არამედ უფრო ღრმა სოციალურ მიზეზებში, რომლის ნათელ—ყოფა, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. და, ვიდრე ჩვენ იმის გამორკვევას შევუდგებოდეთ თუ რაში მდგომარეობს ამის უმთავრესი მიზეზი, მანამდი დიდი დრო გაივლის, და ამიტომაც იყო, რომ, ბ. ბააზოვმა მოითხოვა, თალმუდ თორების, და იეშივების გამართვა, რომ ამით საშუალება მოგვცემოდა, ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდით, თან ჩვენი ეროვნული ენა და ლიტერატურაც აღვადგინა, კერძოდ საქართველოში, დასახვაც ხომ დიდი ხანით ადრე მოხდა, რასაც ჩვენ ეხლა ვეძებთ. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჟამს იგივე გაუგებრობამ იჩინა თავი, რომ ლამის არის, უვიცობამ და საგნის დაუკვირვებლობამ ერთიანად დაგვღუპოს. როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ ბ. ბააზოვის პირით თალმუდ—თორების, და ებრაულ ნაციონალურ სასწავლებლების დაარსება, ზოგიერთებს ეს, ებრაელების ქართველებისაგან ჩამოშორებათ, მოეჩვენათ. და თვით ხანანაშვილიც გვეხება ამ მხრივ: ის სწერს: „ძაღლის თავი სად ყოფილა დამარხულიო". მე არ ვიცი, ავტორი რომელი ძაღლის თავზე ლაპარაკობს, მაგრამ გამოთქმის კილო გვიმტკიცებს, რომ ისიც იმას უფრთხის, რასაც ქუთაისის რაბინი ბ. ელუაშვილი. მაგრამ, ბ.ბ. სად, როდის იყო რომ სთქვა ბააზოვმა, რომ ქართველებს ჩამოვშორდეთო. პირიქით, მან აღნიშნა ქართული ენის უფრო მეთოდიურათ შესწავლა, ვინემ დღემდის არსებობს, ჩვენი ბავშვებისთვის, და როგორც სამშობლო ენა, და აგრეთვე რუსული ენის შესწავლაც, როგორც სახელმწიფო ენა. უფრო მეტიც სთქვა: „უკეთესი იქნებოდა ჩვენი მწერლების ნაწარმოებნი ითარგმნებოდეს ქართულად და ქართველების ებრაულადაო, რომ ამით უფრო გავეცნობით ორი მეგობარი ერი ერთმანეთსაო.

ეს წინადადება ბ. ხანანაშვილს სასაცილოთ მიაჩნია და ასეთ შენიშვნას აძლევს: „ნუ თუ თქვენ სერიოზულათ და ჭეშმარიტად ფიქრობთ, რომ ჩვენი მგოსნების: შოთა, ილია, ვაჟა, აკაკის, იროდიონის და სხვათა ლექსებს ებრაულათ ან რუსულათ ან გერმანულათ უკეთ გაიგებთო". და ასეთ მოხსენებას აკეთებს: „დახეთ, ბატონებო, როგორი შთამაგონი მოუვლინენ ქართველ ებრაელებს, ბ. ბააზოვის სახით და ან ხვოლესის პროგრამით."

რაშია საქმე!? რა მოხდა!? ბააზოვმა მოითხოვა ჩვენი ბავშვებისთვის კერძოთ ქართული ენის უფრო მეთოდიურათ შესწავლა, და მე არ მგონია ქართულის შესწავლა, მოსახერხებელი იყოს რუსულის, ან ებრაულის ანბანით, ან კიდევ გერმანულით, არამედ ისევ ქართულით.

და, რასაკვირველია, რადგანაც იგივე ქართველი მგოსნები, ქართულად სწერდენ და დღესაც ქართულად არის, მათივე ნაწარმოებნი, ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, შეტანილი. ჩვენ ამის ახსნა განმარტება არ გვეჭირვება, ისედაც ვიცით, რომ ჩვენი ბავშვები მათ (ე. ი. ქართველი მგოსნების.) აზრს და მოქმედებას უფრო ქართულად გაიგებენ, ვინემ სხვა ენაზე. ეს უკვე ითქვა იმის თქმით, რომ ქართული ენა და მისი უფრო რიგიანათ შესწავლა ვინემ დღემდე არსებობს მიუცილებელი არსებობის პირია საქართველოში მცხოვრები ებრაელ-ბავშვთათვის. უფრო მეტი, ჩვენ მოვითხოვეთ ბ. ბააზოვის პირით ქართულის, ებრაულათ თარგმნა და ებრაულის ქართულათ. ამით ის კი არ არის ნათქვამი თითქო ქართულს უცხო ენაზე უფრო, გავიგებდეთ, არამედ ჩვენ გვინდოდა ამით ჩვენი სასახელო ქართველი მგოსნების ნიჭი და გენიალობა, და ამავე დროს მათი ებრაელ ერისადმი გულ შემატკივარობა, (იხ. ევდოშვილის „ისმინე ერო ისრაელისავ". აკაკის „გოდება ებრაელთა") გაგვეცნო და ცხად გვეყო იმ 14 მილიონ ებრაელთათვის, რომელნიც მთელს დედა მიწის ზურგის, სხვა და სხვა კუთხეში, მოდებულნი არიან.

გვსურდა ამით მათთვის საშუალება მიგვეცა უფრო სწორი და ნათელი წარმოდგენის ქონოდათ, იმ კაცთ მოყვარე ეროვნებაზე, როგორიც ქართველი ერია. რადგანაც ერის სულისა და გულის გამომხატველი მისივე მგოსნებია, სწორეთ ამავე მგოსნების ნაწარმოებნის ებრაულ ენაზე გადათარგმნით შევსძლებდით ყველა ამას. ამასთანავე ჩვენ მოვითხოვთ ებრაულ მგოსნების და ბელეტრისტების, როგორც მათი პიროვნების ისე მათივე ნაწარმოების, ქართველ ერისთვის გაცნობას, და ესეც მოხდებოდა იმავე ებრაულის თარგმნით.

ნუ თუ ეს ნიშნავს დაშორებას?

მე მგონია, ეს უფრო დაახლოებას ნიშნავს, ვიდრე დაშორებას, რადგანაც დაახლოება შედეგია გაცნობის და პირიქით დაშორება კი გაუცნობლობის. ვინ არის მართალი?

ამოიღეთ ხმა და გვეცით პასუხი! ყველა ეს მოსახერხებელი იქნებოდა და იქნება მაშინ, როდესაც, ებრაულიც და ქართულიც კარგათ გვეცოდინებოდათ გრამატიკულათ შესწავლილი. ეს კი მოხდებოდა, სასწავლებლების დაარსებით, მოზარდი თაობის რიგიანი აღზრდით.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენ მოვითხოვეთ ჯერ მარტო გათვითცნობიერება ჩვენი, ე. ი. საქართველოს ისრაელების, კულტურულათ ამაღლება. თქვენ კი ბ. ხანანაშვილო, მოითხოვთ: ეროვნული თვითგამორკვევა გინდათ გაიგოთ სად თავდება სარწმუნოება და სად იწყება ეროვნება. ამაზე გიპასუხებთ თქვენვე ტონით. ჯერ დაიცადეთ, ნუ აიჩქარებთ, ხელი შეუწყოთ იმ ხალხის კულტურულათ აღორძინებას, რომელიც ეროვნულათ გამოურკვეველი მიგაჩნია, [illegible] ხალხი მომავალში, შესძლებს თავის ეროვნულ თვით გამორკვევას. განა როგორც თქვენ ბრძანებთ, ერთი მუჭა ინტელიგენცია შესძლებს ისეთი რთული პრობლემის გადაჭრას, როგორიც არის ეროვნული საკითხი რომ კიდეც გამოსთქვან თავისი აზრი? თქვე დალოცვილო, თუ ერთი უბრალო სასწავლებლის დაარსებისთვის ერთი მუჭა და სუსტი ბრძანდებით, რატომ გგონიათ ასეთი ძნელი საკითხის გადაჭრა ერთი მოქნევით გადაჭრათ. ნუ დავცილდებით პირველ საკითხს, ვსთქვათ ის, რაც უნდა გვეთქვა. ტერიტორია, სარწმუნოება და ენა, ცოტათ თუ ბევრათ, ეროვნულათ გავარჩიეთ.

ნორი.

(შემდეგი იქნება)

მცირე შენიშვნა.

„მეგობრის" 107 და 108 №-ში ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ღია წერილია დასტამბული თბილისის პერიოდულ გამოცემების რედაქციების მიმართ, სადაც ის ურჩევს ამბობს მიაწოდოს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას თბილისის გაზეთები, სანამ მასა და ქ-ნ პელაგია ლორიას ასულს შორის არ გამოირკვევა ის უთანხმოება, რომელიც მათ შორის მოხდა. ბ-ნ ისიდორე კვიცარიძეს ჩვენი საზოგადოება კარგათ იცნობს; მას როგორც დაუღალავ გამავრცელებელს ჩვენს მხარეში ჟურნალ-გაზეთებისას, დიდი დამსახურება მიუძღვის საზოგადოების წინაშე და მიტომაც ასეთ ადამიანისაგან არ მოველოდით მის ასეთ განცხადებას. საქმე იმაშია, რომ ბიბლიოთეკის გამგე თუ მას უსიამოვნება მიაყენა, რა შუაშია აქ თითონ ბიბლიოთეკა? რას ვერჩით ასეთს სიმპატიურ დაწესებულებას, როდესაც საქმე გამგესთან გვაქვს? როდესაც ბიბლიოთეკა გაზეთს დღიურად ყიდულობს, ეს მას ერთი ორად უჯდება და ამით მას საზრდო აკლდება და მკითხველები ხშირად უგაზეთოთ რჩებიან; თბილისის ზოგი გაზეთი ბიბლიოთეკაში ხშირად აღარ არის, მაგალითად, „საქართველო". მართალია, ბ-ნი ი. კვიცარიძე საქმის გამორკვევამდის სწყვეტს გაზეთების მიწოდებას ბიბლიოთეკისათვის, ე. ი. სანამ ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი გამოიკვლევდეს იმ უსიამოვნო ინციდენტს, რომელიც გამგესა და მის შორის არსებობს, მაგრამ ისიდორე კვიცარიძემ კარგათ იცის, სანამ ამას ქალაქის გამგეობა გამოარკვევდეს, მანამდი ჩვენ, ხელმოკლე მკითხველებს კითხვა კიდეც გადაგვავიწყდება. ამიტომ, მე მგონია, ბ-ნი ი. კვიცარიძე კარგს ინებებს, თუ თავის გადაწყვეტილებას შესცვლის, მით უფრო, რომ ასეთი მისი მოქმედება, მასა და ბიბლიოთეკის გამგეს შორის მომხდარი საქმის გამორკვევას არას დაუშლის.

ერთი მკითხველთაგანი.

რედაქტორ-გამომცემ. ი. ცინცაძე.

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილით	— [illegible] ს.	[illegible] წ.
"	— [illegible]	— [illegible]	[illegible]
ბათომიდან	— დილით	— 1 ს.	25 წ.
"	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	55 წ.
"	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დილისით	— 5 ს.	30 —
"	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	— დილისით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	— დილით.	— 5 ს.	— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ახალი წიგნაკი

ა. ბოგდანოვი. ფასი სამი შაური „პროლეტარის ბიბლიოთეკა № 1

საზოგადოებრივი მოძრაობა და ფილოსოფია.

თარგმანი ქ-ნ ლენისა გამოცემა ალექსანდრე ცერცვაძისა.

იყიდება ყველგან: საკუთარ აგენტებთან და წიგნის მაღაზიებში. ვინც ათ ცალს მეტს დაიკვეთს, მას წიგნაკი 30% დაკლებით დაეთმობა. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი ელიგულაშვილისა, ვასილ ჰეიშვილს, ალექსანდრე ცერცვაძისათვის, для Александры Церцвадзе.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახოვ) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქუთაისი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკეთესო

ქ ი . ლ ი.

აქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

ავადმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავადმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.**

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით შეპყრობილ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავადმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავადმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი [illegible] **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. (წლიური)

[illegible] სტამბა ალ. კობიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.